



## დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

### პროგრამის სახელწოდება

სამართალი
LAW

### ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი
Business - Engineering

### პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

სრული პროფესორი ჯემალ გახოკიძე
სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში (დანართი №1)

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამართლის დოქტორი (Doctor of Law)
მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

### პროგრამის მოცულობა კრედიტებით

180 კრედიტი
-------------

### სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
---

### პროგრამის მიზანი

სამართლის სადოქტორო პროგრამის მიზანია: <ul style="list-style-type: none"> <li>➤ სისხლის, საჯარო ან კერძო სამართლის დარგების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების მეცნიერული კვლევა;</li> <li>➤ სისხლის, საჯარო ან კერძო სამართლის დარგებისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარება;</li> <li>➤ სისხლის, საჯარო ან კერძო სამართლის დარგებში სამეცნიერო კვლევის გაღრმავება და იურიდიული ცნობიერების ამაღლება;</li> <li>➤ სისხლის, საჯარო ან კერძო სამართლის დარგების ნაკლოვანი მხარეების წარმოჩენა და</li> </ul>
--

- შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
- სისხლის, საჯარო ან კერძო სამართლის დარგებში მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების შექმნა;
  - ღრმა თეორიული და მეთოდური ცოდნის მქონე პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობაზე ადაპტირებული მეცნიერებისა და პროფესიონალი ლექტორების მომზადება.

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას მხედველობაში მიიღება:

- სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები და ა.შ.).

დოქტორანტობის კანდიდატი გასაუბრებას გადის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერტიფიკატის წარდგენისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის კურსი გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

**უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE-ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით ([www.alte.org](http://www.alte.org))**

ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო)

მესამე დონე ითვლება გაწაფულობის საშუალო დონედ. ენის ამ დონეზე მცოდნეს უკვე უნდა შეეძლოს, თავი გაართვას ენის ძირითად სტრუქტურას და გამოიყენოს სხვადასხვა სიტუაციის შესაბამისი კომუნიკაციის სტრატეგიები. იგი ფლობს ფართო ლექსიკას. მოსმენისას და კითხვისას იგი სცილდება ფაქტობრივი ინფორმაციის ცალკეული პუნქტების გაგებას, შეუძლია განასხვავოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხები, ტექსტის ზოგადი თემა და სპეციფიკური დეტალები. სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერისას მას უნდა შეეძლოს როგორც არგუმენტის ჩამოყალიბება, ასევე მოვლენების აღწერა და თხრობა. ენის ამ დონეზე მცოდნეს გარკვეულწილად თავისუფლად შეუძლია სხვადასხვა კონტექსტში ენის გამოყენება. მას განვითარებული აქვს მეტი მოქნილობა და უნარი, რომ შეძლოს მოულოდნელ სიტუაციაში რეაგირება და ნაკლებად ეყრდნობა ენის უცვლელ ნიმუშებსა და მოკლე ფრაზებს. იგი უკვე კარგად ხვდება, როგორ უნდა დაიცვას ზრდილობის ის ნორმები, რომლებიც ენობრივად არის განსაზღვრული და როგორ უნდა ისაუბროს ოფიციალურ სიტუაციაში. B2 დონის გამოცდა გამოიყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ დონეზე ენის მცოდნე მზად არის შეასრულოს საოფისე სამუშაო და გაიაროს არაკადემიური კურსი იმ ენაზე, რომელსაც სწავლობს (მაგალითად იმ

ქვეყანაში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობენ). ამ დონეზე ენის მცოდნეს უნდა შეეძლოს ენის გამოყენება სამოხელეო, სამდივნო და მენეჯრის პოზიციებზე და ზოგ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით ტურიზმში.

**საუბარი:** სწავლისას, ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია დასვას შეკითხვები ლექციაზე ან პრეზენტაციისას მისთვის ნაცნობ ან პროგნოზირებად თემაზე, თუმცა გარკვეული სირთულეებით. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სემინარსა და წვრთნებში, თუმცა ისევ და ისევ გარკვეული სირთულეებით.

**წერა:** ენის ამ დონეზე მცოდნეს შეუძლია შეზღუდული გამოყენებისათვის ან შემდგომი გადამუშავების მიზნით ჩაიწეროს შენიშვნები ლექციებსა და სემინარებზე, თუმცა დამატებითი დროის უქონლობის შემთხვევაში შეექმნება სირთულეები. მას შეუძლია ამოიწეროს შენიშვნები წერილობითი წყაროებიდან, თუმცა შეიძლება გამორჩეს მთავარი საკითხები. მას შეუძლია დაწეროს ესსე, რომელშიც გადმოსცემს თავის აზრს, ან დაწეროს ექპერიმენტისა ანგარიში, რომელშიც ნაჩვენებია იქნება შესრულებული სამუშაოს ძირითად შინაარსი.

**კითხვა:** მისი კითხვის უნარი აღემატება ყოველდღიური წერილებისა და ძირითადი საგაზეთო/ჟურნალის სტატიების გაგების უნარს. მას შეუძლია გაეცნოს მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ფაქტობრივ ინფორმაციას და საკუთარი გემოვნებით შერჩეულ მხატვრულ ლიტერატურას. მას შეუძლია თავი გაართვას მცირე მოცულობის მოხსენებებსა და სტატიებს პროგნოზირებად თემებზე და გაიგოს მისთვის ნაკლებად ცნობილ თემაზე სტატიის ან მოხსენების ზოგადი შინაარსი, თუმცა ინფორმაციის ბუნდოვნად გამოხატვის შემთხვევაში არასწორად გაგებაა მოსალოდნელი. ამ დონეზე ენის მცოდნე არის ენაში საკმარისად გაწაფული იმისათვის, რომ დასძლიოს არაკადემიური ტრენინგები, რომლებიც სასწავლო ენაზე ტარდება. ამ დონეზე ენის მცოდნეს შეუძლია დაძლიოს ლექციის, პრეზენტაციის მასალა მისთვის ნაცნობ სფეროში ან იმ შემთხვევაში, როცა კონტექსტს კარგად იცნობს, თუმცა შეიძლება შეექმნას სირთულეები აბსტრაქტული არგუმენტაციის გაგებისას. მას შეუძლია წაიკითხოს მარტივი სახელმძღვანელოები და სტატიები, თუმცა არც ისე სწრაფად, რომ დასძლიოს აკადემიური კურსი.

**მოსმენა:** სწავლისას, მას შეუძლია გაიგოს მისთვის ნაცნობ თემაზე ლექციის ზოგადი შინაარსი.

**B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა**

ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

**სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ დოქტორანტთა რაოდენობა**

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა წარმოებს წელიწადში ერთხელ, სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში.

## სწავლის შედეგები/კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

### - ცოდნა და გაცნობიერება.

- აქვს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის დარგის უახლეს ან/და აქტუალურ მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე);
- ფლობს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის დარგის ან ქვედარგის სამეცნიერო კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებს;
- შეუძლია კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.

### - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

- აქვს ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების და ზედამხედველობის უნარი;
- შეუძლია ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რაც საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში აისახება;
- შეუძლია კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის მიმართულებით ინოვაციური კვლევების დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- შეუძლია ახლებური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომელიც კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის ფარგლებში ახლი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული;
- ფლობს სამართლებრივი კონფლიქტების სამართლებრივი მეთოდებით გადაწყვეტის უნარს;
- შეუძლია საუნივერსიტეტო იურიდიულ განათლებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

### - დასკვნის უნარი.

- კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება;
- შეუძლია წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება;
- შეუძლია განახლებული სამართლებრივი ბაზის, სასამართლო პრაქტიკისა თუ უახლესი მეცნიერული მიღწევების, ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი მიდგომების შეფასება და კრიტიკული ანალიზი;
- ფლობს სამართლებრივი პრობლემების სწორი მეცნიერული ინტერპრეტირების უნარს.

### - კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია სართაშორისო თუ ეროვნულ დონეზე სამეცნიერო საზოგადოებასთან კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის უახლესი სამეცნიერო მიღწევების გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო პუბლიკაციების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების და ა.შ. შექმნის გზით თემატურ პოლემიკაში ჩართვა.

### - სწავლის უნარი

- აქვს სწავლისა თუ კვლევის პროცესში კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ახალი შეხედულებებისა თუ იდეების კრიტიკული გააზრების, ათვისებისა და მათი დანერგვის უნარი;
- გააჩნია კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ან/და ახალი პროცესების განვითარების მზაობა.

- **ღირებულებები.**

- შეუძლია კერძო, სისხლის ან საჯარო სამართალთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

**სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები**

- ლექცია    პრაქტიკული    სამეცნიერო-თემატური სემინარი    დამოუკიდებელი მუშაობა  
 კვლევითი კომპონენტი    დისერტაციის გაფორმება    დისერტაციის დაცვა

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები**

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს.

კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

**1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.**

**2. დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უფიქრებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**3. ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.**

**5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

**6. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**7. ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**8. შემთხვევის ანალიზი (Case study)** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

**9. გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**10. როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**11. დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**12. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**14. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**15. წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

## სტუდენტის ცოდნის შეფასება

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კონპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო გამოცდის შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის, გამოიყენება წერიტი გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების მომზადებას და მის პრეზენტაციას.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

პროგრამის განხორციელებისას და სასწავლო კომპონენტის ათვისებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისება უნივერსიტეტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

#### **დადებით შეფასებად ითვლება:**

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

#### **უარყოფით შეფასებად ითვლება:**

(FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 კალენდარული დღისა.

(F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადისერტაციო ნაშრომი, ასევე ფასდება 100 ქულიანი სისტემით. სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

#### **სადისერტაციო ნაშრომის დადებითი შეფასება (P – დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:**

- (A) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
- (B) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- (C) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- (D) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- (E) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

#### **სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითი შეფასება (F – ვერ დაიცვა) წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით:**

- (FX) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზის გამო ვერ აკმაყოფილებს;
- (F) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს საერთოდ არ აკმაყოფილებს.

## დასაქმების სფერო

სამართლის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიკავოს აკადემიური თანამდებობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სამართლის დოქტორს ასევე შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის დოქტორის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

სამართლის სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი იურიდიული ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.



სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	I წელი		II წელი		III წელი		სულ, კრედიტები
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
		<b>სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები</b>		<b>10</b>	<b>5</b>	<b>15</b>	<b>15</b>			<b>45</b>
1.	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	არ გააჩნია	5						5
2.	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	არ გააჩნია	5						5
3.	-	პროფესორის ასისტენტობა	TMS0007-L		5					5
4.	-	პირველი თემატური სემინარი	AWSRM07-L			15				15
5.	-	მეორე თემატური სემინარი	AWSRM07-L				15			15
6.		<b>სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები</b>		<b>10</b>	<b>5</b>					<b>15</b>
7.	CLC 0007-L	თანამედროვე სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია (შედარებითი ანალიზი)	არ გააჩნია	10						10
8.	CPL 0007-L	თანამედროვე კერძო სამართალი (შედარებითი ანალიზი)	არ გააჩნია	10						10
9.	CCL 0007-L	თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი (შედარებითი ანალიზი)	არ გააჩნია	10						10
10.	CRP 0007-L	თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი და დანაშაულის გახსნის მეთოდიკა	არ გააჩნია		5					5
11.	CIP 0007-L	სამოქალაქო სამართლის პროცესი (შედარებითი ანალიზი)	არ გააჩნია		5					5
12.	ADP 0007-L	ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი (შედარებითი ანალიზი)	არ გააჩნია		5					5
		<b>კვლევითი კომპონენტი</b>		<b>10</b>	<b>20</b>	<b>15</b>	<b>15</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>120</b>
13.	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	არ გააჩნია	10						10
14.	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 2	პროსპექტუსი - 1		20					20
15.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 1	პროსპექტუსი - 2			15				15
16.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 2	კოლოქვიუმი - 1				15			15
17.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი - 3	კოლოქვიუმი - 2					30		30
18.	-	დისერტაციის დასრულება, დაცვა	150 ECTS						30	30
<b>ECTS კრედიტები</b>		<b>სემესტრში</b>		<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>180</b>
		<b>სასწავლო წელს</b>		<b>60</b>	<b>60</b>	<b>60</b>	<b>60</b>	<b>60</b>		<b>180</b>

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და ბუნებრივება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
		<b>სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები</b>						
1.	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
2.	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	X	X	X	X	X	X
3.	-	პროფესორის ასისტენტობა	X	X		X		X
4.	-	პირველი თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X
5.	-	მეორე თემატური სემინარი	X	X	X	X	X	X
		<b>სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები</b>						
6.	CLC 0007-L	თანამედროვე სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია (შედარებითი ანალიზი)	X	X	X	X	X	X
7.	CPL 0007-L	თანამედროვე კერძო სამართალი (შედარებითი ანალიზი)	X	X	X	X	X	X
8.	CCL 0007-L	თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი (შედარებითი ანალიზი)	X	X	X	X	X	X
9.	CRP 0007-L	თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი და დანაშაულის გახსნის მეთოდოლოგია	X	X	X	X	X	X
10.	CIP 0007-L	სამოქალაქო სამართლის პროცესი (შედარებითი ანალიზი)	X	X	X	X	X	X
11.	ADP 0007-L	ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი (შედარებითი ანალიზი)	X	X	X	X	X	X

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

		საათები / საათი	ECTS	ლექცია	სემინარი (მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	5/135	45						90
2.	TMS0007-L	სწავლების მეთოდები	5/135	45						90
3.	CLC 0007-L	თანამედროვე სისხლის სამართალი და კრიმინოლოგია (შედარებითი ანალიზი)	10/270	90						180
4.	CPL 0007-L	თანამედროვე კერძო სამართალი (შედარებითი ანალიზი)	10/270	90						180
5.	CCL 0007-L	თანამედროვე კონსტიტუციური სამართალი (შედარებითი ანალიზი)	10/270	90						225
6.	CRP 0007-L	თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი და დანაშაულის გახსნის მეთოდიკა	5/135	45						90
7.	CIP 0007-L	სამოქალაქო სამართლის პროცესი (შედარებითი ანალიზი)	5/135	45						90
8.	ADP 0007-L	ადმინისტრაციული სამართალი და პროცესი (შედარებითი ანალიზი)	5/135	45						90

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ჯემალ გახოკიძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ივანე ჯაგოდნიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

**მიღებულია**

ბიზნეს-ინჟინერინგის  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
25 სექტემბერი 2012

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური

პროგრამის ხელმძღვანელის

**Curriculum Vitae**

პერსონალური ინფორმაცია:

სახელი, გვარი: ჯემალ გახოკიძე

დაბადების ადგილი: თბილისი, საქართველო

დაბადების თარიღი: 11/09/1950

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

მისამართი: ირაკლი აბაშიძის ქუჩა №29

ტელეფონი: (+995 32) 29 22 92 (+995 99) 55 25 25

ელ. ფოსტა: [www.senati@gtu.ge](mailto:www.senati@gtu.ge)

განათლება, სამეცნიერო ხარისხი და წოდებები

2004 წელი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ, სადოქტორო თემა `საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები`.

1987 წელი - იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, თსუ. დისერტაციის თემა „გამომიების და მოკვლევის ორგანიზაცია“.

1980 – 1982 - სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია.

1967– 1972 - იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამუშაო გამოცდილება:

2009 - დღემდე - სტუ-ს სრული პროფესორი.

2004-2005 წ.წ. - საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

1999-2004 წ.წ. - ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე.

1997-1998 წ.წ. - სახელმწიფო უშიშროების მინისტრი.

1973-1997 წ.წ. - შინაგან საქმეთა სამინისტრო, გამომძიებლის, დეპარტამენტის თავმჯდომარის და მინისტრის მოადგილის თანამდებობები

შეთავსებით:

2004-2009 წ.წ. - სტუ-ს მოწვეული პროფესორი.

1989-2004 წ.წ. - თსუ-ს დოცენტი.

საზოგადოებრივი საქმიანობა:

2010 წლიდან - სტუ-ს სენატის სპიკერი

2010 წლიდან - ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო საბჭოს წევრი

2010 წლიდან - ჟურნალ „ბიზნესი და სამართალი“ სარედაქციო საბჭოს წევრი

2010 წლიდან - ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“ სარედაქციო საბჭოს წევრი

დარგობრივი და საერთაშორისო აკადემიის წევრობა:

პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**პედაგოგიური მოღვაწეობა და საგანთა ჩამონათვალი:**

1987 წლიდან -თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2005 წლიდან - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**სისხლის სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი, კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, პოლიტოლოგია.**

**ჯილდოები:**

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის და ღირსების ორდენით, ასევე სხვა სამთავრობო ჯილდოებით.

**გამოქვეყნებული ნაშრომები:**

1. „გაყინული კონფლიქტების პოლიტიკური და სამართლებრივი ფუნქცია, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 18, 2009, გვ. 97-103.
2. 2008 წლის აგვისტოს ომის ხასიათი და თავისებურებანი, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 17, 2008, გვ. 52-62.
3. ახალი იმედები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობანი: წარსული, აწმყო, მომავალი. ჟურნ. „პოლიტიკა“, 4, 2001, გვ.6-12;
4. ახალი მსოფლიო წესრიგი და ეროვნული რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოება, შრომების კრებული „ქართული სახელმწიფო“, თბილისის უნივერსიტეტის გამომც., თბ., 2002, გვ.110-120. კრებული მიემდგვნა ლევან სანიკიძისა და ლადო ჭანუყვამის ხსოვნას.
5. გაყინული კონფლიქტების სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები (ე.წ. ეროვნეთის ბაზრობის მაგალითზე). სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია `ეროვნული უსაფრთხოება და ორგანიზებული დანაშაულობა“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. 27 დეკემბერი, 2011 წ.
6. ეკონომიკური კრიზისის კრიმინოლოგია. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. 2011. გვ. 56-58.
7. ერის სამსჯავროზე (საავტორო წიგნი). ინტერვიუები, გამოსვლები, სტატიები, გამომც. „სრულიად არასაიდუმლოდ“, თბ., 1998, 125 გვ.
8. ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები (სახელმძღვანელო), გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2007, 210 გვ. სახელმძღვანელოში ცალკე თავის სახით განხილულია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მათ შორის ეკონომიკური კრიზისების პრობლემატიკა.
9. კავკასია და საქართველო ევრაზიულ ინტეგრაციებში, ჟურნ. „ივერია“, 2002-2003, VIII-IX, პარიზი, გვ.13\_22 (ჟურნალი გამოიცა პარიზში).
10. კრიმინალისტიკის სასწავლო კურსი, სამი ტომი, გამომც. „ნეკერი“, თბ., 1995. თანაავტორობით;
11. კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარების პერსპექტივები. საქართველოში, საუნივერსიტეტო-შორისო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის კრებული, 2011, გვ. 5-10.
12. კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარების პერსპექტივების შესახებ. კრიმინოლოგიის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საუნივერსიტეტო-შორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი. 2011. გვ. 7-9
13. კრიმინოლოგიის სწავლების პროცესი და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლის დეპარტამენტში. ჟურნალ „კრიმინოლოგიის" 5 წლის იუბილესთან მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. 27 ოქტომბერი, 2011 წ.
14. კულტურულ-ცივილიზაციური და ეროვნული ერთიანობის პრობლემები განდგომილ რეგიონებთან. პარალელი. თბილისი, 2011 #1. გვ. 76-80.
15. მოხსენება - აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ცნობის საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი. ივნისი, 2011 წელი.

16. მოხსენება-აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები. სოხუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 30 წლისთავისთვის მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. იანვარი. 2011 წელი.
17. ნარკოტიკული და სახელმწიფო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სრულყოფის აუცილებლობა, ჟურნ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, #1 2002 გვ.126-132.
18. ნოვაციები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, ოქტომბერი, 2010, გვ. 39-43.
19. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა თუ გამოძიება? ჟურნ. „სოციალ-ეკონომიკა“, #6, 2010, გვ. 129-136.
20. რუსეთთან ომი და ევროპასთან ურთიერთობის პერსპექტივები (თეზისები), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2009, გვ.85-88.
21. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობის პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხისათვის, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 18, 2009, გვ. 103-109.
22. რუსეთ-საქართველო - ომი, პოლიტიკა, სამართალი, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 19, 2009. 10 გვ.
23. რუსეთ-საქართველოს ომი და ახალი მსოფლიო წესრიგი (პრობლემები, ანალიზი და დასკვნები), ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 16, 2008, გვ. 80-87.
24. რუსეთ-საქართველოს ომის პოლიტიკური ფაქტორები, გამომც.„უნივერსალი“, კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 1(5) 2009, გვ. 227-238.
25. საერთაშორისო უსაფრთხოების პრევენცია, ჟურნ. „პოლიტიკა“, 12, 2003, გვ.2-6.
26. საქართველო, კავკასია და რეგიონალური უსაფრთხოების პოლიტიკური მემკვიდრეობა. ჟურნ. „პოლიტიკა“, 7-8, 2003, გვ.10-14.
27. საქართველოს აწმყო-მომავლის ეროვნული უსაფრთხოების ზოგიერთი თავისებურება, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 6, 2004, გვ. 43-51.
28. საქართველოს კორუფციასთან ბრძოლის წარსული, აწმყო და მომავალი, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1-3, 2003, გვ.33-38.
29. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი). სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივთან ერთად. სტუ, 2012 წ. გვ. 310.
30. სუბიექტური ფაქტორის როლი სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემის ფორმირებაში, ჟურნ. „პოლიტიკა“, 11, 2003, გვ.11-16.
31. ტერორიზმი და ახალი მსოფლიო წესრიგი, ჟურნ. „პოლიტიკა“, 4, 2002, გვ.41-45.
32. ტერორიზმის სამართლებრივ-თეორიული ასპექტები, ჟურნ. „პოლიტიკა“, 12, 2003.გვ.27-32.
33. ქართული სახელმწიფო: უსაფრთხოების ეროვნული ფესვები და ტრადიციები, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 3, 2002, გვ. 45-50.
34. შესავალი კრიმინოლოგიაში (სახელმძღვანელო), სტუ, 2011წ. მთავარი რედაქტორი.
35. წინადადებები და ზოგიერთი მოსაზრებები გამოძიების რეფორმასთან დაკავშირებით. უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების რეფორმის კონცეფცია, თბ., 2002, გვ.121-124, გამოცემულია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით;
36. სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი. გამ. ტექნიკური უნივერსიტეტი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი. თბ. 2012წ. გვ. 220გვ.
37. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. გამ. ტექნიკური უნივერსიტეტი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი. თბ. 2012წ. გვ. 249გვ.
38. ჯ. გაზოკიძე, მ. გაბუნია. კრიმინოლოგია. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ. 2012. 166 გვ.
39. Economical Security of Georgian and Urgent Problems of the Struggle Against Corruption, Georgian Engineering News, p. 151-154.
40. Historical Geography and the Security of a Country. Georgian-European Policy and Legal Advice Centre. Georgian Law Review 2001, p.21-32.
41. The Place and the Role Economic Security in the Formation of the Georgian State. Georgian-European Policy and Legal Advice Centre. Georgian Law Review, Third and Fourth Quarters 2001, p.53-62.
42. Взаимодействие следственных аппаратов с другими органами внутренних дел (სასწავლო-მეთოდური საშუალება), თბ., 1988, 82 გვ.
43. Проблемы расследования уголовных дел, связанных с наркомании, Информ. бюллетень 2/88 МВД Грузинской ССР, с.62-70;

**ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა:**

1. მონაკოში 2000-2001-2002 წლებში საერთაშორისო სამიტზე ტრანსნაციონალურ დანაშაულებთან ბრძოლის პრობლემებზე მოხსენება;
2. მსოფლიო სამიტზე მონაწილეობა - კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო კონვენციის მიღებასთან დაკავშირებით (ქ. პალერმო, იტალია, 2001წ.);
3. კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარების პერსპექტივები საქართველოში, საუნივერსიტეტოშორისო საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ორგანიზატორი;
4. გაეროს პროგრამის დირექტორი 200-2003 წლებში `აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზების პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების შესწავლა~. პროექტი ხორციელდებოდა ეროვნული უშიშროების საბჭოში;

**უცხო ენების ცოდნა:** გერმანული (კარგად), რუსული (სრულყოფილად)

**კომპიუტერის ცოდნა:** Microsoft Word; Wista; Internet Explorer; Microsoft PowerPoint

**ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ**

სისხლის სამართლის მიმართულებით		
1.	ჯემალ გახოკიძე	სრული პროფესორი
2.	შოთა ფაფიაშვილი	სრული პროფესორი
3.	ირა აქუზარდია	ასოცირებული პროფესორი
4.	პაატა კობალაძე	ასოცირებული პროფესორი
5.	გოჩა მამულაშვილი	ასოცირებული პროფესორი
6.	ჯემალ გაბელია	ასოცირებული პროფესორი
7.	გია ხუროშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
8.	მიხეილ მამნიაშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
9.	დავით კარიაული	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
10.	გიორგი თოდრია	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
11.	მიხეილ გაბუნია	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
12.	დარეჯან ლეკიაშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
საჯარო სამართლის მიმართულებით		
13.	ლალი შაიშმელაშვილი	სრული პროფესორი
14.	ნინო ნიშნიანიძე	სრული პროფესორი
15.	ზვიად როგავა	ასოცირებული პროფესორი
16.	ირაკლი გაბისონია	ასოცირებული პროფესორი
17.	ქეთევან ჯინჭარაძე	ასოცირებული პროფესორი
18.	ვეფხვია გვარამია	ასოცირებული პროფესორი
19.	ხათუნა ლორია	ასოცირებული პროფესორი
20.	ნანა ნიორაძე	ასოცირებული პროფესორი
21.	მარი ჯიქია	ასოცირებული პროფესორი
22.	მალხაზ ბეგიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
23.	ქეთევან ჩახვაძე	ასოცირებული პროფესორი
24.	გოჩა ოჩიგავა	ასოცირებული პროფესორი
25.	ავთანდილ დემეტრაშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი



26.	გივი ლობჯანიძე	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
27.	ლიანა ადეიშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
28.	ზაზა რუხაძე	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
კერძო სამართლის მიმართულებით		
29.	ქეთი ქოქრაშვილი	სრული პროფესორი
30.	ზვიად გაბისონია	სრული პროფესორი
31.	ვალერი ხრუსტალი	ასოცირებული პროფესორი
32.	კარლო ბზიშვილი	ასოცირებული პროფესორი
33.	ირმა მერებაშვილი	ასოცირებული პროფესორი
34.	ლევან ხეცურიანი	ასოცირებული პროფესორი
35.	ზურაბ ძლიერიშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი